




Handwritten numbers and text at the top of the page, including '21' and '1917'.

საქართველოს



Handwritten text: '1961/15', '4p', 'მარტი 1917'.

ოველ კვეთილი ორგანო

№ 1

კვირა 27 აგვისტო 1917 წ.

№ 1

მოკლესათვის

12 მარტი 1917 წლის ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში. ამ დღეს კვლავ ფერი აიღვა ჩვენმა მთელი საუკუნის განმავლობაში დატყვევებულმა ეკლესიამ, საბოლოოდ იყარა მონობის ბორკილი და დაადგა ახალსაზრისის განახლებისას და თვის დაქსაქსულ ძალთა მოკრებობას ძნელი ეს ახალი გზა და მოთხოვს მრავალს ცდას და ღვაწლს ეკლესიის ყველა ერთგულ შვილთაგან. სინოდის რეჟიმი განსაცდელის კარამდე მიიყვანა ჩვენი მრავალ საუკუნის ისტორიის მქონე ეკლესია, მოღუნა მისი მაცხოვრებელი ენერჯია, დაუბნია მის სამწყსო, დაქსაქსა მისი ძალა. 12 მარტის ქტის შემდეგაც ჩვენს ეკლესიას დასჭირდა და კიდევ დასჭირდება მრავალი ბრძოლა მოპოვებულ უფლებების განსამტკიცებლად და განსაზღვრებლად. ყველამ იცის, თუ რამდენი დაბრკოლება გადაეღობა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა ცხოვრებაში გატარებას 12 მარტის შემდეგ. ბატონობას ჩვეულებრივად ღონისძიებით და სხვა და სხვა შევიწროებით სტდილობდნენ დაწყებული საქმის განხორციელებას და მისთვის საბოლოოდ ხელის შეშლისაც. მაგრამ ჩვენი ეკლესიის თავისუფლების საქმე, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებასთან და მიდიოდა და ეხლა უკვე მკვიდრ და უტყუარ საფუძველზე

ორგანიზაციის დებულებათა შემუშავებით და ეკლესიის თავის—სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ამორჩევით, რომელმაც კრების მიერ ამორჩეულ ორგანოებთან ერთად სათავეში ჩაუდგება ჩვენი ეკლესიის აღორძინების საქმეს.

რთულია და მრავალმხრივი ის დანიშნულება, რომელიც აღუეს ჩვენს ახლად განთავისუფლებულ ეკლესიას. ამ დანიშნულების პირნათლად შესრულება მოითხოვს ყველა ჩვენი ძალების შემოკრებას მშობლიურ ეკლესიის გარშემო, რათა საერთო დახმარებით ეკლესიამაც შესძლოს თვისი დადებითი წვლილის შეტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მხოლოდ არსებულ ცოცხალ ძალთა შემოკრებით შესაძლებელი იქნება სინოდალურ რეჟიმის ნანგრევებზე ახალ თავისუფალ წყობილების დამკვიდრება სარწმუნოებრივ და ეკლესიურ სფერაში.

ჟურნალი „სვეტი-ცხოველიც“, რომელიც თავისი სახელით გვაგონებს წმიდა აკვანს ჩვენი სულიერი აღორძინებისას, თავის ვალად დიხსახავს ხელი შეუწყოს ეკლესიის ერთგულ შვილთა დარახმვას ახალ ცხოვრებისათვის საბრძოლველად, სარწმუნოებრივი ცხოვრების აყვავებისა და წარმატებისათვის.

მოლოდინები

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ჯერ ისევ განვითარების პროცესს განიცდის. ამ პროცესის უკანასკნელი ეტაპი, მისი ლოლიკური დაგვირგვინება იგულისხმებს ტერიტორია-

8 სექტემბერს ტფილისში დაიწყება სრულიად საქათლიკოზოს საეკლესიო კრება, რომელიც დაგვირგვინებს 12 მარტს დაწყებულს საქმეს ეკლესიურ ცხოვრების და მის შინაურ

ლურ პრინციპის აღიარებას, და მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში შეგვიძლიან თამამად გამოვაცხადოთ, რომ ჩვენმა მრავალ-ტანჯულ ეკლესიამ თავი დაახწია მონობას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართველი საზოგადოება განურჩევლად მიმართულებებისა და პოლიტიკური რწმენისა სწორედ ტერიტორიალურ პრინციპს ემყარება! თითქმის ყველა პერიოდიულ ორგანოებში ამ პრინციპს ხაზი ესმის და თანახმად საეკლესიო ისტორიის მეცნიერულ და კანონიურ დამოწმებისა, გამოითქმის ის კეშმარტი აზრი, რომ ივერიის ეკლესია უნდა აღსდგეს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზღვრებში. მხოლოდ უზურპაციით და ელემენტარულ უფლებების დარღვევით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების საკითხმა სრულიად უმიზეზოთ არა სასურველი მიმდინარეობა მიიღო.

რევოლიუციურ რუსეთმა ისეთივე დამოკიდებულობა გამოიჩინა მცირე ერების მოახლოვნილებისადმი, როგორც დასამარებულ რუსეთის თვითმპყრობელობამ: ველიკოროსთა პრიმატი ძველებურად გამოცხადებულია რუსეთის სახელმწიფოს მაცოცხლებელ ძარღვად. ცალმხრივად გაგებული „დიდი და განუყოფელ რუსეთის იდეა“ გამოსჭვივის უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ სახელმწიფოს შესვეურნი დღესაც სასტიკად ებრძვიან ერთა აღორძინებას და ფაქტიურად უარს-ჰყოფენ საქვეყნოდ აღიარებულ „თვითგამორკვევას“.

თავის თავად ცხადია, რომ ცენტრალისტური აზროვნების მატარებელი დროებითი მართველობა არ შეურიგდებოდა იმას, რასაც საქართველოს ეკლესია თავის წმიდა მიზნად ისახავს; არ შეიწყნარებდა ტერიტორიალურ ავტოკეფალიას, რომელსაც თან სდევს საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზის სათანადო ამაღლება და მისი უზენაესი მართვა-გამგებლობა ტერიტორიის საზღვრებში. რუსეთის სინოდის უმაღლესი წარმომადგენელი ყოველს შემთხვევაში უნდა გამოხვედრილი ყოფილიყო კათალიკოზის ბრძანებლობისაგან, ამისათვის საჭირო იყო ტერიტორიალურ პრინციპის უკუ-გდება! ნაციონალური ავტოკეფალია-კი უზრუნველჰყოფს უმართებელეს სინოდს ამ შიშისაგან, რადგანაც კათალიკოზის ხელმწიფება გავრცელებულია ამ შემთხვევაში მხოლოდ ქართველ ერზე, სწორედ ისე, როგორც ამას ადგილი აქვს სომეხთა ეკლესიაში.

რუსეთის რევოლიუციურ მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დებულებანი, სავსებით ეწინააღმდე-

გება ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა ტორიას, ეწინააღმდეგება აგრეთვე იმას, რაც დადასტურებულია კანონიურ უფლებათა მიერ. ანტი-კანონიურ დაწესებულებას – რუსეთის სინოდს – 100 წლის განმავლობაში ტყვედა ჰყავდა ივერიის ეკლესია, და განა საკვირველია, რომ ბატონობის ჩამოშორების ჟამს იგი მოწოდინებულია რაც შეიძლება მეტი უფლება და ავტორიტეტი შეინარჩუნოს. „საქართველოს ეკლესიის თვითგამორკვევის უდიდესი აქტი“, როგორც ახასიათებდა 12 მარტის შესანიშნავ დღეს მთავრობის პირველი დეკლარაცია, მოითხოვდა ავტოკეფალიას იმ სახით, როგორც ჩვენს ეკლესიას უტარებია მრავალსაუკუნის სივრცეზე იმ შავნელ დრომდე, როდესაც გენერალ ტორმასოვმა ძალ-მომრეობით გამოჰგლიჯა მას კანონიური უფლება და ძღვნად მისთავაზა ბიუროკრატიულ სინოდს...

ასი წლის განმავლობაში სულიერად ახრწნებოდა და ქონებრივად დატაცდებოდა უძველესი მართლმადიდებელი ეკლესია! გლოვით რეკავდა დიდებული სიონის ზარი და მისკენე-სას უერთებდნენ ბოდბე, გელათი, გარეჯი, სვეტი ცხოველი – ქართველთა ერის დიდების სახელოვანი მოწმენი...

წყვედიანით მოსილ ბარბაროსულ სამეფოში სულსა ლაფავდენ დამონავებულნი ერნი! თვითმპყრობელ რუსეთსა და კულტურულ კეცნებ შორის აღმართული იყო გარღვეული ზღუდე, რომლის ფრთებს ჰობედრონოსცევები დიდის მეცადინეობით ლესავდენ, რათა მაცოცხლებელ მზის სხივებს არ შემოენათებინა და იმედი არ ჩაეწვეთა ხალხთა შეხუთულ აზროვნებაში!

დღეს საერთო აღორძინების, საყოველთაო თავისუფლების ხანაა! ამ დიად ჟამს შენატროდა დაჩაგრული, დამცირებული და უკიდურესამდე შეწუხებული ხალხი. საქართველოს შვილნი ხსნას მოელოდენ მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო აჯანყებისაგან: იმედოვნებდენ, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებული რუსეთის დემოკრატია საჯაროდ დაგმობდა მტარვალთა გამგებლობის მეთოდს და უფლებას შეასხამდა მოტყუებულ ერს, – აღადგენდა ერის თვითკანონმდებლობას, განათავისუფლებდა დატყვევებულ ეკლესიას! მაგრამ ჩვენს იმედებს სავსებით ვერ ეღირსა გასწავლება: დემოკრატიულ მთავრობის მობას აკლია გაბედულობა, მას არა აქვს ნაადრული რევოლიუციონური გაქანება, რომ ახალგზით და საშუალებით უშიშრად გაატაროს ან ვერთებულ ზღვაში სახელმწიფო და მიადგენ უშფოთველ ნავთსაყუდარს.



ბიუროკრატის საზარელი ლანდი კიდევ დაწრწის რუსეთის უზომო სივრცეზე და ჰშამავს ჰაერს: მის მიერ დაღ-დასმული მოგვევლინა ეკლესიის ახალი წესებიც!

ჩვენ მივიღებთ ამ წესებს, ვითარცა საძირკველს, რომელზედაც აღდგენილი ქართველი ერი აღაშენებს სალი-კლდესავით უტეხ ქვითკირს და მას ვერ ძლევენ თვით ბჭენი ჯოჯოხეთისა.

მაშინ შეერთებული ქართველი ხალხი აღტაცებით მიეგებება ჭეშმარიტად განთავისუფლებულ ეკლესიას, მაშინ მორწმუნეთ მიულოცავენ: „ამიერიდგან უკვე აღარა ხართ უცხო და მწირი, არამედ თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლელულ ღვთისა, აღშენებულ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინასწარმეტყველთასა, რომლისა თავ-საკიდურთა მისთა არს თვით ქრისტე იესო.“ (ეფეს. II 19, 20).

რ. ინგლო.

საქართველოს ეკლესიის დროებითი წესები მთავრობის მიერ დამტკიცებული.

პეტროგრადის დეპუტათა სააგენტომ გადამოგვცა 1 აგვისტოს თარიღით:

დროებით მთავრობამ დადგინა 1) შეიმუშაოს დროებითი წესები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის მდგომარეობის შესახებ რუსეთის სახელმწიფოში 2) მიენდოს საგანგებო კომისიას, რომელსაც შეადგენს მთავრობა, შემუშავება იმ საკითხების, თუ რა უნდა გამოეყოს საქართველოს საეგზარხოზოს საკათალიკოსოსთვის გადასაცემად. ამასთანავე ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს ზომა და საფუძვლები, რის მიხედვითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მიეცეს კრედიტი ხაზინიდან და ეს კომისიის დადგენილება უნდა წარედგინოს დროებით მთავრობას განსახილველად. 3) საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოწესრიგებამდე და სარწმუნოების სამინისტროს დაარსებამდე, სინოდის ობერ-პროკურორს ქართულ ეკლესიის მიმართ რჩება იგივე უფლებები, რა უფლებებიც ჰქონდა საქართველოს საეგზარხოზოს მიმართ.

დროებითი წესები: 1) ქართულ ეკლესიას შეადგენენ ყველა რუსეთის საზღვრებში მოსახლე მართლმადიდებელი ქართველი. 2) აფხაზთა და ამიერ-კავკასიის ოსთა მრევლები მათი სურვილებისამებრ შეიძლება მიეწეროს ქართულ ეკლესიას. 3) ქართულ ეკლესიის კრებულთა შეუძლიათ სჯულის საქმეში მსახურონ არაქართველ მართლმადიდებლებს, თანაც სხვა

მართლმადიდებელ მღვდლებს შეუძლიანთ ემსახურონ ქართველებს. 4) ქართული ეკლესია იყოფა ეპარქიებად, ეპარქიები — მრევლებად; ორივეთა რიცხვი დადგენილი იქნება საგანგებო წესდებით, რომელიც მთავრობის მიერ იქნება დადასტურებული. 5) საქართველოს ეკლესიის სათავეში სდგას მთავარ-ეპისკოპოსი მცხეთისა, სრულიად ქართველთა კათალიკოზ-პატრიარქი ქართულ ეკლესიის წესის მიხედვით ამორჩეული. 6) კათალიკოზ-პატრიარქის არჩევანი, კურთხევამდე უნდა დადასტურდეს დროებით მთავრობის მიერ. 7) კათალიკოზ-პატრიარქის ქართულ ეკლესიის კრებასთან ერთად აქვს სრულ-უფლებიანობა საეკლესიო ხელმწიფებისა, რომელიც ხორციელდება საეკლესიო მართველობის შესაფერ ორგანოთა საშუალებით, კანონთა თანახმად. 8) კათალიკოს-პატრიარქი ურთიერთობას იქერს ყველა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის საშუალებით. 10) ქართულ საკათალიკოსოსის საეკლესიო დაწესებულებანი, უმაღლესი იერარქია, საკათედრო, სამრევლო და სამონასტრო სამღვდლოება სარჩოს იღებს სახელმწიფო ხაზინიდან კანონისდა მიხედვით. 11) ქართულ ეკლესიის დაწესებულებანი, საერთო სამოქალაქო კანონების თანახმად, ითვლებიან იურიდიულ პირებად. 12) ქართულ ეკლესიის სასულიერო სასწავლებლებს შეიძლება მიეცეთ უფლება სახელმწიფო სასწავლებლებისა. 13) შინაგან საკანცელარიო წარმოება და სწავლა სასულიერო უწყების სასწავლებლებში სწარმოებს ქართულ ენაზე. 14) საქორწინო საქმეებში და სამოქალაქო მდგომარეობათა აქტების წარმოებაში ქართული ეკლესია ემყარება საერთო კანონებს.

საქართველოს ეკლესიის

დროებით მმართველობის და მის ყველა ეპარქიალურ განყოფილებათა წევრების არჩვეულებრივი

პ რ ე ბ ა

12 აგვისტოს 1917 წელს ტფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ეკლესიაში 11 საათზე საქართველოს მოსაყდრის ყოვლად-სამღვდლო ლეონიდის მიერ გადახდილ იქნა სამადლობელი პარაკლისი, რომლის შემდეგ მისმა მეუფებამ გახსნა დროებით მართველობისა და ყველა ეპარქიალურ გამყოფილებათა წევრების კრება. დღის 12 საათზე პრეზიდიუმში ყოვლად სამღვდლო კათალიკოზის მოსაყდრის ეპისკოპოზის ლეონიდის თავმჯდომარეობით არჩეულ იქნენ: ყოვლად-სამღვდლო გორის ეპისკოპოზი ანტონი, არქიმანდიტი

ამბროსი, დეკანოზი კორნელი კეკელიძე და ნიკიტა თალაქვაძე და ღენერალი ვასილ ვაბაშვილი, მდივნებად: დეკანოზი გიორგი გამრეკელი, მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე და ივანე ბერიაშვილი. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ყ-დ სამღვდლო ლეონიდის მოხსენება დროებ. მართველობის მოქმედების შესახებ 12 მარტიდან.

ყოვლად-სამღვდლო ლეონიდის მოხსენების შემდეგ ყოვლად-სამღვდლო ანტონიმ მოკლედ გააცნო კრებას დეპუტაციის მოქმედების ანგარიში პეტროგრადში. მან აღნიშნა ის უხერხული დრო და პირობები, რომლებშიაც მოუხდა დეპუტაციას მუშაობა. ყოვლად-სამღვდლო ანტონიმ მოუწოდა კრებას მიიღოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დროებითი დებულებანი საქართველოს ეკლესიისა, რომლებიც თუმცა არ აკმაყოფილებენ სრულად ჩვენს მოთხოვნებს, მაგრამ რომელთა გაფართოვება ჩვენს მეცადინეობით შემდეგში ადვილი შესაძლებელია.

დეკ. კალ. ცინცაძემ დაწვრილებით გააცნო კრებას დეპუტაციის მოქმედება პეტროგრადში, მან აღნიშნა ყველა ის მრავალნი და საქმელო დაბრკოლებანი, ის უხერხული პოლიტიკური მდგომარეობა და დრო, რომელშიაც დეპუტაციას მოუხდა მუშაობა. დიდი დახმარება დეპუტაციამ პოვა პეტროგრადის ქართველთა ახალშენში. განსაკუთრებით შემწეობა აღმოუჩინეს: ირაკლი წერეთელმა, კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძემ, კნენინა ნინო გელოვანისამ, სენატორ თ. ზურაბ ავალიშვილმა და სხვებმა. კერძოდ ჩხეიძეს და წერეთელს განუცხადებიათ დეპუტაციისათვის, რომ მიუხედავად მათი მიმართულებისა, იგინი დიდი მომხრე არიან საქართველოს ეკლესიური განთავისუფლებისა და მხურვალე დახმარება აღუთქვენ ამ საქმეში.

2 აგვისტოს ჩვენი დეპუტაცია მისულა უწყ. სინოდში და ავტოკეფალურ საქართველოს ეკლესიის სახელით წაუკითხავს მისალმება. მისალმება მოსმენილ იქნა სინოდის წევრების მიერ ფეხზე დგომით.

მოხსენების ბოლოს დეკ. კ. ცინცაძემ წაიკითხა თვით ტექსტი დრ. მთავრობის მიერ დამტკიცებულ დებულებათა საქართველოს ეკლესიის შესახებ.

კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ყოვლად-სამღვდლო ანტონისი და დეკ. კ. ცინცაძისა და დრ. მთავრობის მიერ დამტკიცებული აღნიშნული დებულებანი, 12 აგვისტოს საღამოს სხდომაზე ყ-დ სამღვდლო ანტონ კათალიკოზის თავმჯდომარეობით, დაადგინა: ა) მოხსენება ყ-დ წამღვდლო ანტონისა და დეკ. კ. ცინცაძისა მიიღოს ცნობად; ბ) გაეგზვნოს სინოდის ობერ-პროკურორს დროებით მთავრობის წევრს კარტაშევს დეპუმა, რომლითაც გამოუცხადოს პროტესტი ძირითად დებულებათა შეცვლისა გამო.

13 აგვისტოს დილით კრებამ მოისმინა ს. გორგაძის მოხსენება, („საქართ. ეკლესია და თანამედროვე მომენტი“), დამზადებული საეკლესიო კრებისათვის და იქონია მის შესახებ მსჯელობა. საღამოს ყ-დ სამღვდლო ლეონიდის თავმჯდომარეობით და ახლად მობრძანებულ კირიონ ეპისკოპოზის მონაწილეობით კრებამ იქონია რა მსჯელობა შესახებ იმისა—დარჩეს თუ არა ძალაში დრ. მმართველობის მიერ შემუშავებული და გაზეთ „სახალხო საქმის“ № 22-ში დაბეჭდილი წესდება საქართველოს საეკლესიო კრების დეპუტატების არჩევისა, დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ დაადგინა: შეცვლილ იქნას რამოდენადმე არჩევნების წესები.

16 აგვისტოს საღამოს ყ-დ სამღვდლო კირიონის თავმჯდომარეობით კრების მიერ მოსმენილ იქნა დროებით მართველობის კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციის შესახებ. იქონია რა მცირე მსჯელობა მოხსენებისა გამო, კრებამ დაადგინა: ვინაიდგან მოხსენება არსებითად იმდენად რთულია, რომ მისი ვერც ზოგადი და ვერც მუხლებრივი განხილვა კრების სხდომებზე სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს, მიემართოს არსებულ კომისიას შემდეგი პირები: არქიმანდრიტი ამბროსი, დეკანოზი კ. ცინცაძე, დეკ. ნ. თალაქვაძე, მღვდ. პოლიევკტო კარბელაშვილი, მღ. ქრ. ციციშვილი, ა. ყანჩელი და ი. ცინცაძე, რომელთაც დაევალოს მოხსენების პროექტის საბოლოოდ დამუშავება მომავალ საეკლესიო კრებისთვის.

ცნობა: დეკ. ი. ბობოხიძე სურვილს გამოთქვამს, რომ ეპარქიების პროექტის შემუშავების დროს კომისიამ სახეში მიიღოს, რათა სხვა ეპარქიათა შორის აუცილებლად აღდგენილ იქნან კათედრები ბოდბელისა და ჭყონდიდლისა, უკანასკნელისათვის რეზიდენციით მარტვილის მონასტერში.

16 აგვისტოს დილით ყ-დ სამღვდლო კირიონის თავმჯდომარეობით კრებამ დაადგინა: თანახმად ყ-დ სამღვდლო ანტონის განცხადებისა დაარსდეს იურიდიული კომისია საეკლესიო სამართლის პროექტის შესამუშავებლად.

16 აგვისტოს საღამოს კრებამ იქონია მსჯელობა სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ და დაადგინა: 1) აღნიშნული

ნულ სასწავლებლებში სწავლა დაწყებულ იქნას 1 ოქტომბრიდან. 2) ამ წლიდანვე მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა კლასებში. 3) ქართულის არამკოდნე მასწავლებლებს მიეცეს წინადადება რომ იზრუნონ ადგილების მიღებისათვის სხვა სასწავლებლებში. 4) არა ქართველ მოწაფეთათვის სწავლის მოწყობის შესახებ ტფილისის სასულიერო სასწავლებლებში უკანასკნელთა მართველობებში ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ თვისი მოსაზრებანი. 5) სამს მოსამზადებელ განყოფილების მაგივრად სასწავლებლებში დაწესდეს 2 ჯანყოფილება. 6) განთავისუფლებულ იქნან თანამდებობიდან ტფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარე დეკ. ქრ. ჯიოვეი და ამავე საბჭოს არა ქართველი წევრები, რომელთა მაგიერ არჩეულ იქნენ ქართველები, რადგან ამას მოითხოვს სასწავლებლების ნაციონალიზაცია. გავგზავნოს სინოდის ობერ-პროკურორს დეპეშა და ეთხოვოს სასწავლებლების შესახებ კრედიტების გადაწერა საქართველოს ეკლესიის სახელზე და აგრეთვე ზომების მიღება შესახებ არა ქართველ მასწავლებელთა და კერძოდ ტფილისის სასწავლებელთა არა ქართველ მოწაფეთა შესახებ.

ამის შემდეგ კრება დაიხურა. კრების დახურვის წინ მად. ყ-დ უსამღ. მიტროპოლიტმა ლეონიდემ შესაფერი სიტყვით მიმართა კრების წევრთ.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება.

კრების შემადგენილობა და არჩევნების წესი, შემუშავებული და საბაზოლად დამტკიცებული საქართველოს საეკლესიო კრების წინასწარ თათბირის მიერ 14 აგვისტოს 1917 წ.

1. საქართველოს საკათალიკოზო სამოციქულო ეკლესიის კრება დაიწყება 8 სექტემბერს 1917 წ. ტფილისში, სიონის ტაძარში, წირვის შემდეგ.
შენიშვნა. კრების წევრნი უნდა დაესწონენ წირვას სიონის ტაძარში.
2. კრების საგანია: საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგება და კათალიკოზ-პატრიარქის არჩევა.
3. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე.
4. კრების წევრებად ითვლებიან: ყველა ქართველნი მღვდელ-მთავარნი, არქიმანდრიტნი, ილუმენიები, საქართველოს ეკლესიის დროებით

მმართველობისა და მის განყოფილებათა წევრები და არჩეული წარმომადგენლები (დეპუტატები) ერისა, სამღვდლოებისა და ბერ-მონაზონებისა.

5. კრების წევრნი და მათი ამომრჩევლნი განურჩევლად სქესისა უნდა იყვნენ არა ნაკლებ ოცის წლისა.

6. კრების წევრად შეიძლება არჩეულ იქმნას როგორც მამაკაცი, აგრეთვე დედაცაცი.

7. წარმომადგენლნი აირჩევიან ამ წესით.

ა) აგვისტოს 27, კვირას, წირვის შემდეგ თვითველ მრევლში მოხდება ორი ერის კაცის არჩევა. არჩევნებს ხელმძღვანელობს სამრევლო საბჭო, ან, სადაც საბჭო არ არის, ადგილობრივი მღვდელი, ხოლო, სადაც მღვდელი არ არის, საოლქო საბჭოსაგან საგანგებოდ დანიშნული ხელმძღვანელი.

შენიშვნა 1: არჩევნების ხელმძღვანელნი შეადგენენ ოქმს, რომელსაც ეკლესიაში ინახავენ, ხოლო არჩეულებს მისცემენ მოწოდებებს, რომ ისინი არჩეულნი არიან სამრევლო-საგან

შენიშვნა 2: ამ არჩევნების დროს ამომრჩეველთა წლოვანებისა და ვინაობის შესამოწმებლად ხელმძღვანელი სარგებლობს აღსარებითი სიით, ან სხვა საეკლესიო საბუთებით.

ბ) 30 აგვისტოს სამრევლოში არჩეულნი წარმომადგენლნი შეიკრიბებიან საოლქო საბჭოში (ან სადაც საოლქო საბჭო არ არის კეთილმოწყესთან) და აქვე გამოცხადდებიან ოლქის (საკეთილმოწყესოს) ყველა მღვდლები, მთავარ-დიაკვნები და მედავითნეები და ყველანი ერთად ირჩევენ საოლქო საბჭოს ან, სადაც საბჭო არ არის, კეთილმოწყესის ხელმძღვანელობით, საეკლესიო კრებაზე გასაგზავნად ოთხს დეპუტატს, სახელდობრ: ერთს მღვდელს, ერთს მედავითნეს (ან მთავარ დიაკონს) და ორს ერის კაცს, რომელთაც იქვე მიეცემათ შესაფერი მოწოდებები (მანდატები).

გ) 3 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის მონასტრების ბერების და ქალ მონაზონების დელეგატები შეიკრიბებიან ტფილისში და აირჩევენ თითო ეპარქიიდან ორს დეპუტატს: ერთს ბერს და ერთს ქალ-მონაზონს, რომელთაც იქვე მიეცემათ შესაფერი მოწოდება საეკლესიო კრებაზე დასასწრებლად.

დ) სასულიერო სემინარიები, საეპარქიო და სასულიერო სასწავლებლები, თვითველი სასწავლებელი ცალკე, აგზავნიან საეკლესიო კრებაზე თითო წარმომადგენელს, რომელთა არჩევანი მოხდება იმავე 30 აგვ.

8. საქართველოს გარეშე ქალაქსა და დაბა სოფლებში მყოფ ქართველებს (აგრეთვე ჯა



რისკაცებსაც), ასიდან ორიათასამდე ამომრჩეველთ, შეუძლიათ საეკლესიო კრებაზე ერთი დეპუტატი გამოგზავნონ. თუ მეტია—ორი. ისინი ადგილობრივ იწვევენ საზოგადო კრებას 27 აგვისტოს ირჩევენ თავიანთ შორის კრების თავმჯდომარეს და მდივანს, მართავენ დეპუტატების არჩევას და აღწევენ არჩეულთ ადგილობრივ კომისარის, ან რომელიმე ორგანიზაციის მიერ დამოწმებულ შესაფერ მონაწილას.

9. შერეული სამრევლოსა და ოლქში მყოფ ქართველებს შეუძლიანთ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მახლობელ ქართველ მრევლს შეუერთდნენ.

10. თუ აღმოჩნდებიან ქალაქებში ან სოფლებში ისეთი ამომრჩეველნი, რომელნიც არც ერთ სამრევლოში არ ირიცხებიან, ან სხვა სამრევლოში ითვლებიან, იმათ ნება აქვთ თავიანთი მოვალეობა სურვილისამებრ ერთ-ერთ სამრევლოში მოიხადონ, მხოლოდ არჩევნების წინ ეს უნდა განუცხადონ ადგილობრივ კრებას ან და სამრევლო საბჭოს რომელსამე წევრს.

11. საეკლესიო კრების ყველა წევრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თან მოწმობა (მანდატი), რომელსაც წარმოადგენენ ტფილისში და აქ მიიღებენ კრებაზე შესასვლელ ბილეთებს.

12. პეტროგრადის, კავკავის და საზოგადოდ შორეულ ქართველებს შეუძლიათ გამოგზავნონ კრებაზე დეპუტატების უფლებით როგორც მღვდლები, ისე არჩეული წარმომადგენლები.

ტფილელ მიტროპოლიტის არჩევნები.

13 აგვ. ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის დარბაზში მოხდა საჯარო არჩევნები ტფილელ მიტროპოლიტისა, რომლის კათედრაც 19 საუკუნის დასაწყისიდან გაუქმდა.

1811 წელს მოვიდა ტფილისში პირველი რუსის ექსარხოსი. ამ დღიდან დაიწყო გარუსების პოლიტიკა საქართველოს ეკლესიაში და კათედრაც ტფილელ მიტროპოლიტისა დაქვრივდა.

12 მარტის აქტივ აღდგენილი საქართველოს ეკლესია აპირებდა საქართველოს კათალიკოსისთვის მცხეთელ და ტფილელ არქიეპისკოპოსის სახელი მიეცა, მაგრამ დროებით მთავრობასთან არსებულ იურიდიულ თათბირმა და მთავრობამ ეს სახელწოდება შეუფერებლად დაინახა. კათალიკოსის ტიტულში გამოუშვა წოდება ტფილელისა და უწოდა მას მხოლოდ მცხეთის არქიეპისკოპოსის სახელი. თანაც ამავე იურიდიულ თათბირმა დიდი შეც-

დომა დაუშვა და ძირითადი დებულებანი არამც-თუ საქართველოსი, არამედ საზოგადოდ საქრისტიანო ეკლესიისანი შელახა იმით, რომ მცხეთის არქიეპისკოპოსს მისცა „სრულიად ქართველთა“ და არა „საქართველოს“ კათალიკოსის სახელწოდება, როგორც იწოდებოდა ხოლმე ყოველთვის ჩვენი ეკლესიის თავი საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. საქრისტიანო ეკლესია ისტორიულად სცნობს ტერიტორიალურს და არა ნაციონალურს პრინციპს, ამიტომ დამყარება ნაციონალური პრინციპისა, არღვევს მართლმადიდებელ ეკლესიის ძირითად კანონებს.

იურიდიული თათბირი და ობერ-პროკურორი, ალბად, ხელმძღვანელობდნენ არა კანონიურ უფლებით, არამედ სინოდის სურვილით, რომელმაც განიზრახა დაცვა ტფილისის მიტროპოლიტის ტიტულის კავკასიის ექსარხოსისათვის.

მაგრამ ავტოკეფალური საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ინტერესები თხოულობს ტფილელ მიტროპოლიტის კათედრის აღდგენას.

ამ სახით გამოტანილი დადგენილება საქართველოს ეკლესიის დროებით მთავრობამ წარუდგინა განსახილველად საქართველოს ეკლესიის დელეგატთა კრებას 12 მარტს, რომელიც გაიხსნა ქალთა საეპარქიო სასწავლებელში. დელეგატთა კრებამ ერთხმად მოიწონა ეს დადგენილება და ამგვარად დღემდე დაქვრივებული ტფილელ მიტროპოლიტის კათედრის აღდგენის საკითხი საბოლოოდ გარდაწყდა.

კათედრაზე კანდიდატების ასარჩევად მეორე დღეს გაიმართა კერძო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველ საზოგადოების წარმომადგენლებმა, ისე ტფილისის ეპარქიის მრევლისა და სამღვდლოებისამ. კრებამ ერთხმად დაადგინა ტფილელ მიტროპოლიტად არჩეულ იქმნას ლეონიდი, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსისა. კათედრის აღდგენა ეცნობა მრევლს და 13 აგვისტოს საღამოს 7 საათზედ ეპარქიალურ სასწავლებლის დარბაზში დიდი ზემოთ შესდგა არჩევნები.

თავმჯდომარეობდა რექტორი დეკ. კ. კეკელიძე. კრებას 300-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

კრებამ ერთხმად დაადგინა არჩეულ იქმნას ტფილელ მიტროპოლიტად ლეონიდი და შეადგინა შესაფერი აქტი. ოქმის დამტკიცების შემდეგ კრებამ აირჩია საგანგებო დეპუტაცია არჩეულ ტფილელ მიტროპოლიტის ლეონიდი-სადმი. დეპუტაციაში შევიდნენ: გენ.-ლეიტ. ვ. დ. გაბაშვილი, დეკ. კ. კეკელიძე, გ. დ. ჟურული, დეკ. ჯოხტ. ბერიძე, თ.-დი ნ. მელი-



ქიშვილი, სვ. ამირეჯიბი. როცა დარბაზში მობრძანდა მათი მეუფება, კრება მიეგება „ისპოლა ეტი დესპოტას“ გალობით.

კრების თავმჯდომარემ მოახსენა ახლად არჩეულ ტფილელ მიტროპოლიტს კრების ოქმის შინაარსი.

ეპ. ლეონიდემ მეტად მხურვალე სამადლობელი სიტყვით მიმართა საზოგადოებას. შემდეგ პილოცვით მიმართა მათ მეუფებას მღ. სვ. ქელიძემ, ტრ. ჯაფარიძემ, პ. მირიანაშვილმა, გ. გვაზავამ.

საეკლესიო წესით გამოცხადება ახლად ამორჩეულ ტფილელ მიტროპოლიტისა შესრულებულ იქმნა 15 აგვისტოს, მიძინების დღეს, სიონში.

15 აგვისტოს, სიონის დღესასწაულის დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა, დიდმა და პატარამ, ყველა წოდების, წრის და მდგომარეობის ქართველობამ. მთელი ტაძარი და გალავანი სავსე იყო ხალხით. წირვის დროს მთავარდიაკონმა დ. სალარიძემ შემდეგი აქტი გამოაცხადა კათედრიდან:

„განბჭობითა და გამოწვლილვითა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობისა და სამღვდლოთა და საეროთა დასთა თბილისისა და სხვათა საქართველოის ქალაქთათა თავდადებულ იქმნა უძველესი საყდარი ტფილელ მიტროპოლიტთაი, რომელიც ერთი საუკუნე განიცდიდა ქვრივობასა, ხოლო საყდარსა ამას ზედა შთავრებითა სულისა წმიდისა და შემოკრებილთა ერთსულოვან თანხმობითი აღრჩევითა აღიყვანების სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოზი გურია-ოდიშისა ყოვლად უსამღვდლოესი ლეონიდე. ვილოკოთ მისთვის და ვსთქვათ „აქსიოს“—დაამთავრა აქტი ამ სიტყვებით მთავარდიაკონმა. მლოცველებით გაქედლიმა ეკლესიამ ერთხმად სამჯერ შესძახა „აქსიოს“.

აქტის წაკითხვის შემდეგ მგრძობიერი სიტყვით მიმართა ტფილელ მიტროპოლიტს გურია-ოდიშის ეპარქიის წარმომადგენელმა დეკ. ი. ბობოხიძემ და მიესალმა იმ ეპარქიიდან, რომელსაც მწყსიდა მათი მეუფება ამ ბოლო დროს. სამადლობელი სიტყვით მიმართა ხალხს ახლად არჩეულმა ტფილელ მიტროპოლიტმა და შეჰფიცა, რომ სამშობლოს გულისთვის არავითარ წამებას არ მოვერიდები, თანახმად მალალ წინამოადგილეთა მაგალითებისა და წინაპართა მიერ დადებულ ვალისაო. წირვა და პარაკლისი ნაშუადღევს 2 საათზე

დამთავრდა. ხალხით გაქედლი იყო, როგორც ტაძარი, ისე გალავანი და სიონის ქუჩა.

საქართველოს ბერმონაზონთა კრება.

წმ. მონასტრების ძმათა კრებულს.
წმ. მამანო!

ამა წლის 3 სექტემბერს, მათი ყ-დ უსამღვდლოესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ლოცვა-კურთხევით, ქ. თბილისში დანიშნულია სრულიად საქართველოს ბერმონაზონთა კრება, რომელიც განიხილავს შემდეგს საკითხებს:

1. მიზანი და დანიშნულება საქართველოს მონასტრების და ბერმონაზონობისა ჩვენს დროში;

2. საშვალგებანი დღევანდელ მონასტრების და ბერმონაზონურ ცხოვრების აღდგენა და განახლებისათვის;

3. დისციპლინის აღდგენა მონასტრებში და სამონასტრო წესდება;

4. სამონასტრო მართვა-გამგეობა და სხვა...
თვითველი მონასტერი, როგორც ძმათა, აგრეთვე დათა, გზავნის აღნიშნულ კრებაზე წარმომადგენელს შემდეგი ვარაუდით: თვითველი ოთხს ძმაზე იგზავნება ერთი წარმომადგენელი; თუ მონასტერში ძმათა რიცხვი ოთხზე ნაკლებია (თუნდაც მხოლოდ ერთი ძმა)—მანც იგზავნების ერთი წარმომადგენელი; თუ ოთხზე მეტია და რვას კი ვერ აღწევს—ორი წარმომადგენელი.

თუ ამნაირი წესი რომელიმე მონასტერში საძნელო იქნება განსახორციელებლად, მაშინ მონასტერი ირჩევს იმდენს წარმომადგენელს, რამდენსაც იგი შესაძლოდ სცნობს.

წარმომადგენლებს თან უნდა ჰქონდეთ თვისი წარმომადგენლობის რწმუნებულობის ქაღალდი.

წარმომადგენლებს გარდა, კრებაზე დასწრების უფლება ეძლევათ ყოველს ძმას ანუ დას, მხოლოდ სათათბირო ხმით;

თბილისში ჩამოსვლისას წარმომადგენლები დაბინავდებიან ქალების საეპარქიო სასწავლებლის შენობაში.

გაცნობებთ რა ამას, კრების მომწვევი საორგანიზაციო ბიურო მოგიწოდებთ ზემო აღნიშნული წესით მონაწილეობა მიიღოთ განზრახულ კრებაზე.

ამავე წარმომადგენლებს ევალებათ აირჩიონ დეპუტატები საეკლესიო კრებისთვის.

საორგანიზაციო ბიუროს თაღმჯდომარე

არქიმანდრიტი ნაშარა.
მღივანი ივ. ბერიაშვილი.

ახლო წარსულიდან

სალამი წამებულის ნაშტს

დღეს, როცა ივერიის ეკლესიას დამოუკიდებლობა უკვე განხორციელებული საქმეა, მსურს პირველი სალამი მას ვუძღვნა, ვინც მუხთაღმა ბედმა გამოსწირა ამ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა მოწინავე რაზმსა.

იმ უჩინარი, მხოლოდ მოკლე წრეში ცნობილი, მაგრამ სულით და ნაყოფიერებით დიადი ადამიანის სახელს, ვინც ამ საქმეს უშიშრად შესწირა კარგი ადგილი, მშვენივრად მორთული კარ-მიდამო, იშვიათი ცოლ-შვილი და ყოველივე პირადი.

ეს არის თბილისის ამალღების ტაძრის ყოფილი წინამძღვარი მღვდ. ილარიონი ჯაში.

ვინც იცნობდით ილარიონი ჯაშს, მოიგონეთ იგი დღეს, როცა სინამდვილედ იქცა მისი მტანჯველი ოცნება — ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა. მოიგონეთ და შენდობა ან, უკეთ ვთქვით, სალამი შეუთვალეთ.

ჩვენც გვაპატიოს რომ ღირსეულად ვერ მოუარეთ!..

და ვინც არ იცნობდი, იცოდე წარსული საიდუმლო, რომ მღვდელი ილარიონი ჯაში ერთი გუთნის-დედათავანი იყო ავტოკეფალიის საქმისა 1904—1907 წლებში. არც ერთ საჯარო თუ კონსპირატიულ კრებას ამ საკითხის შესახებ უილარიონოდ არ ჩაუვლია.

ილარიონის თავგამოდებას და მოხერხების ნაყოფი იყო ის წმ. ნინოს ჯვრიანი ბეჭდით შემოწმებული პროკლამაცია-მოწოდებანი, რომელნიც 1905-1906 წლებში თავისი იმედებით გამხნეებდნენ შენ, მკითხველო, და გაოცებდნენ თავისი გაბედულობით, თუ ვინ და როგორ მოახერხა ამათი გამოცემა ამ გამცაფრებულ რეაქციის დროსაო.

ილარიონი ბელადი და სულის ჩამდგმელი იყო იძულებით დღე მოკლე ვახეთ „სიტყვისა“, რომელსაც თავისი უზომო სასტიკობით განთქმული ექსარხოსი ნიკონი სინოდისთვის გამზადებულ ჯოჯოხეთის მანქანას უძახოდა.

და კიდევაც შესაფერისად „დააფსა“ იმ დროინდელმა „მშვიდობის მოყვარე“ მთავრობამ ეს აღფრთოვანებული იდეალისტი და საუკეთესო ორგანიზატორი.

ილარიონი გაჩხრიკეს, სამღვდელოების ოქმები და რედაქციის მასალები წაართვეს, ამალღების ტაძრიდან და თბილისიდანაც უადგილოდ განდევნეს, შემდეგ ბაქოს გუბერნიის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში გაამწყესეს. მაგრამ ვახეთ „Прогрессъ“-ის თანამშრომლობა შეამჩნიეს და ისევ უადგილოდ დააგდეს. და

ბოლოს, ხუთი შვილის პატრონი შემოქმედით აიძულეს გადასახლებულიყო რუსეთში, სადაც იგი 1911 წელს ტრალიკულად გამოესაღმა წუთისოფელსა...
დროზე მახლობელის ცრემლიც არ ღირსება უპატრონო კუბო-სამარცა!..

მეტყვიან: ცოტათი მეტი მოთმინება, კიდევ ხუთიოდე წელიწადი ბრძოლა — და ილარიონი ისევე დაბრუნდებოდა სამშობლოში, როგორც დაბრუნდნენ სხვა დევნილებიო.

სიმართლეა, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ „სხვა სხვისა ომში ბრძენია“. ჩვენ არ ვიცით, რომელი ჩვენგანი როგორ მოიქცეოდა იმ წყვილიადში და ყოვლად უნუგეშო პირობებში, რომელიც გარს ეხვია განსვენებულსა. ვინც ყველაფერს მიხვდება, ყველაფერს შეუნდობსო, ნათქვამია.

შენდობა ტანჯულ გმირსა! სალამი თქვენ, სულით მრავალწამებულის წამებულნი ნეშტნი!

ახელი.

ქ რ ო ნ ი კ ა

— კვირას 27 აგვისტოს საკათალიკოზოში დაიწყება არჩევნები საეკლესიო კრებისათვის თანახმად წესდებისა.

— სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრემ ტფილელ მიტროპოლიტმა ლეონიდემ ნება დართო იმ საკეთილმწყისოში, სადაც რაიმე მიზეზისა გამო არჩევნების მოწყობა დანიშნულ დროს არ მოესწრება, არჩევნები მოხდეს სხვა დღეს ადგილობრივ პირობების მიხედვით მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ დელეგატები 8 სექტემბრისთვის ტფილისში გამოგზავნილნი იქნენ.

დელეგატები ტფილისში უზრუნველყოფილნი იქნებიან ბინით და საზრდოთი.

— საქართ. ეკლესიის დროებით მართველობამ დაადგინა მოიპატიჟოს საეკლესიო კრებაზე აფხაზთა სამღვდელოების და ერის კაცთა წარმომადგენლები.

— 23 აგვისტოს სალამოს 5 1/2 საათზედ კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ტფილ. მიტროპოლიტი ლეონიდე გადაბრძანდა ყოფილ ექსარხოსთა ბინაზე. ექსარხოსთა სახლი შეძენილია წარსულ საუკ. მე-40-იან წლებში ჩვენი ეკლესიის თანხით.

— სარწმუნოებათა მინისტრი ბ. კარტაშვილი ატყობინებს მოსაყდრეს, რომ მთავრობის კომისია ახლო მომავალში შეუდგება ყოფილ საქსარხოსოს სასულ. სასწავლებლების საბოლოო ბედის გარკვევას.

რედაქტორი: სარედაქც. კოლეგია.